



**ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საბრძანებლო**



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 249

15 ივნისი  
“— — —” 2021 წ

**ქ. თბილისი**

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: №01.14.02.009.032; №01.14.02.009.033) მრავალბინიანი  
საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი  
დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2  
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის  
24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 ივნისის №21.771.871  
განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის  
ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.02.009.032; №01.14.02.009.033) მრავალბინიანი  
საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი  
დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსოფიციალურ  
ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №0121071534-67 (№01210983529-67;  
№012114114-67; №0121149169-67; №012115769-67) განაცხადის და თანდართული  
დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების  
განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო  
კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033)

მრავაბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება

თბილისი

2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურგანული განვითარების სამეცნიერო

## გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი.....	3
1.1	ტერმინთა განმარტება .....	3
1.2	სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები.....	3
1.3	ამოსავალი პირობები.....	5
2	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები .....	6
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები .....	6
2.1.1	გასათვალისწინებელი ტექნიკური რეკლამენტები:.....	7
2.2	ტერიტორიის დახასიათება .....	7
2.3	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან .....	8
2.4	სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა .....	8
2.5	მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა .....	9
2.6	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხმაბა ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტულების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) .....	10
2.7	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა .....	11
2.8	მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.....	11
2.9	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა .....	12
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები; .....	12
3.1	საპროექტო ტერიტორიის არეალი.....	12
3.2	არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.....	13
3.3	დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები.....	14
3.4	განაშენიანების რეგულირების ხაზები .....	15
4	განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი .....	16
5	შენიშვნები:.....	17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტი

## 1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

### 1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დეზულებების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც მირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განმარტება შემდეგნაირად:

გეგმარებითი დავალება – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწასარებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

### 1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
2. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო**

- შუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის თურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილება;
  5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N21.771.871 (10/ივნისი/2021წ.);
  6. წინასაპროექტო კვლევა;
  7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი - N01211593802 (08.06.2021);
  8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს წერილი - N01211603431 (09.06.2021);
  9. 2015 წლის 23 იანვრის აღნაგობის ხელშეკრულება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

**კანონი**

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტები

**საქართველოს კონსტიტუცია**

**კანონი**

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „საუკომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

**მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება**

1. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების ხაგენტი**

- დებულებები;
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება;
  3. „ელექტრული ენერგების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
  4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
  5. „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანება;
  6. „მაგისტრალური მილისადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
  7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
  8. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
  9. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
  10. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება.

### 1.3 ამოსავალი პირობები

#### განცხადების რეკვიზიტები

განცხადება	0121071534-67 (12.03.2021) 01210983529-67 (08.04.2021) 012114114-67 (21.05.2021) 0121149169-67 (29.05.2021) 012115769-67 (06.06.2021)
განმცხადებელი	ზურაბ ღარიბაშვილი
ობიექტის მისამართი/ადგილმდებარება	ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები	N 01.14.02.009.033; N 01.14.02.009.032;
ფუნქციური დანიშნულება	საცხოვრებელი კომპლექსი
ფუნქციური გამოყენება	მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და სპორტული მოედნები
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;
განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა	-
კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა	-
სპეციალური რეჟიმები	-
არქეოლოგიური უბანი/ობიექტი	-
ნორმატიული ფასის ზონა	უბანი - საბურთალო ქვეუბანი - ნუცუბიძის ფერდობი ზონის ნომერი - 17 ნორმატიული ფასი - 43
გეგმარებითი შეზღუდვები	საპროექტო ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეების ზონირებით ვრცელდება მაღალი რისკის გეოსაშიშროებრივი ზონა.

## 2 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

### 2.1 გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251-ის მიხედვით მოქმედი ნორმა: СНиП 2.07.01-89 ქალაქთმშენებლობითი სტანდარტების და წესების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი”.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

### **2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:**

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება მაღაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და მშენებლობაზე;
- „სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (36 01.01-09) – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძანება.

### **2.2 ტერიტორიის დახასიათება**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში. მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებით. საპროექტო არეალზე მდებარეობს ამორტიზებული სპორტული მოედანი, რომლის შენარჩუნებასაც ითხოვდნენ მიმდებარე კორპუსების მაცხოვრებლები. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია ორი სპორტული მოედნის მშენებლობა.

ამასთამ ერთად საპროექტო მიწის ნაკვეთზე 2015 წლის 23 იანვრის აღნაგობის ხელშეკრულებით მოთხოვნილია მომიჯნავე ნაკვეთის მობინადრებისათვის ავტოსადგომით უზრუნველყოფა, არნიშნული ვალდებულება პროექტით გათვალისწინებულია და დაგეგმილია 25 ღია საპარკინგე ადგილის მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები, რომლის დემონტაჟიც გათვალისწინებულია პროექტით. ამასთან ხდება საკადასტრო მიწის ნაკვეთის მოწესრიგება და საკადასტრო საზღვრების კორექტირება ფართის უცვლელად, არსებული გზების კონტურის გათვალისწინებით.

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება მ. ქანთარიას ქუჩიდან.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო**

### **2.3 შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან**

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში (მათი არსებობის შემთხვევაში);
- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარებისა შესაძლებლობები და ინტერესები;
- დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქვეითე კავშირები მომიჯნავე კვარტლებთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამიჯვნა) თანაბაზად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი;
- გათვალისწინებულ იქნას შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ დადგენილი შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს შენობის დაშორებას ხაზობრივი ნაგებობიდან არა ნაკლებ 4 მეტრისა, მასზე დადგენილ იქნას საჯარო სერვიტუტი და გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე საპროექტო გეგმა დამტკიცებულ იქნას აღნიშნულ სამსახურში (თანხმობის წერილითა და ბეჭდით დამოწმებული გენერალური გეგმის მეშვეობით), წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგენილ იქნას აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის გადატანის პროექტი, დამტკიცებული შესაბამისი უწყების მიერ;
- მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა ინტერესის დაკაციულების მიზნით, აუცილებელია საპროექტო არეალზე მოხდეს ახალი სპორტული მოედნ(ების) მშენებლობა და აღნიშნული მოედნ(ები) და სარეკრეაციო სივრცეები იქნას დია და მისაწვდომი, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის თითოეული მაცხოვრებელისთვის;

### **2.4 სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით- გეგმარებითი მოწყობის შეცვლა**

- აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე მშენებლობის განხორციელების ეტაპება და რიგითობაში ასახეთ არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა.
- ინდივიდუალური პროექტის შეთანხმების სტადიაზე შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმება.
- შენობა-ნაგებობისათვის ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის გამოთვალა მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დაგენილების

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიმ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

39-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საცხოვრებელი ფართის ყოველ 180 კვ.მ-ზე ერთი ავტოსადგომის მოწყობას;

- გათვალისწინებულ იქნას 2015 წლის 23 იანვრის აღნაგობის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება და კანონით განსზღვრულ რაოდენობაზე დამატებით, ს.კ. N01.14.02.009.016 ნაკვეთზე მდებარე მრავალბინიანი სახლის მობინადრეებისათვის მოეწყოს 25 ადგილზე გათვალილი ავტოსადგომი, ამასთან მიმდებარე მრავალბინიანი სახლისთვის გათვალისწინებულ იქნას საფეხმავლო კავშირი;
- ვალდებულებით გათვალისწინებულ ავტოპარკინგზე დადგენილ იქნას საჯარო სამართლებრივი სერვისურტი;
- გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილ იქნას ვალდებულებით გათვალისწინებული ღია ავტოსადგომის დაზუსტებული სქემა, აღნიშნულ სქემაზე თითოეული ავტომანქანისათვის გამოყოფილ იქნას სტანდარტებით დადგენილი არეალი, რათა გეგმაზევე მოხდეს ვალდებულებით დადგენილი რაოდენობით უზრუნველყოფის დაზუსტება;
- საკადასტრო საზღვრების კორექტირება დაზუსტდეს მომრაობის ორგანიზების სქემისა და ტროტუარების გათვალისწინებით, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს მაქსიმალურად მოხდეს საზღვრების გაფართოება და აღმოსავლეთით ფართის გამონთავისუფლება (კორექტირება მოხდეს საკადასტრო ფართობის ცვლილების გარეშე);

## 2.5 მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;
- ცალკეულ გეგმარებით შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის ნაკვეთს, რომელსაც აქვს ერთმანეთის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) საზოგადოებრივი საზღვრები ან/და მხოლოდ ერთი მხრიდან სამეზობლო საზღვარი, მაშინ მასზე შენობის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთზე უკანა ეზოს განსაზღვრა არ ხდება.
- თუ მიწის ნაკვეთს გააჩინა ერთმანეთის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) საზოგადოებრივი საზღვრები, განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი დგინდება ასეთი მოპირდაპირე საზოგადოებრივი საზღვრებიდან ცალ-ცალკე მათი მოსაზღვრე ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან.
- L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობა სზ-1 და სზ-2 ტოლია 6 მეტრის, ხოლო ყველა სხვა საცხოვრებელ ზონაში – 20 მეტრი.
- მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან, ხოლო მისი არასებობის შემთხვევაში მოხდეს ყველა სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან;
- საზოგადოებრივი საზღვარი, სამშენებლო მიწის ნაკვეთისათვის, განისაზღვროს სამხრეთ მხრიდან მ. ქანთარის ქუჩიდან და ჩრდილოეთ მხრიდან არსებული შიდა საუბნო ქუჩიდან.
- მაქსიმალური სიმაღლე და სართულიანობის სქემა დაზუსტებულ იქნას გრგ-ს შეთანხმების

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

### ეტაპზე.

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით  $H=L/Y$ , სადაც:

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულის;

L - წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y = წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

ა) 0.35 – დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

ბ) 0.25 – სამრეწველო ზონებისათვის;

გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

2.6 მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- გრგ-ს პროექტის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ეებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;
- საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, გრგ შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამეცნიერო**

- მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან; იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შპს-ა, მაშინ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

## 2.7 ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა

- მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით და შეთანხმებულ იქნას შპს „თბილისერვის ჯგუფთან“;

## 2.8 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა

- ნებართვის გაცემის თითოეული სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. საინშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსებ, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ მუხლი 24) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 9, პუნქტი 17-ის შესაბამისად.

## **2.9 ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა**

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო შენობების განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყალარინების მომსახურების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით, ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი;
- მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიცეტის გამოყენებით;

## **3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;**

### **3.1 საპროექტო ტერიტორიის არეალი**

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი წარმოადგენს 7 501 კვ.მ-ს. აღნიშნული შასაძლოა დაზუსტდეს გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო

### 3.2 არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

განაცხადის წარმოდგენის და განხილვის პერიოდში მოქმედი „დედაქალაქის მიწასარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი იყო ფუნქციური ზონები: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური).

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) — მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გაშოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,5	კოეფიციენტი	
კ-2	2,5	კოეფიციენტი	
კ-3	0,3	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	600 / 700 *	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	15 / 20 *	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	25 / 30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე			-
შენიშვნა			* მრავალბინანი საცხოვრებელი სახლისთვის

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) — სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,2	კოეფიციენტი	
კ-2	-	კოეფიციენტი	
კ-3	0,8	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	600*	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიიდ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახური

შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	12***	მეტრი
შენიშვნა	* 2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამოჯვენის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის	
	** ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლების მიმდევარედ არსებული მწვანე ნარგავების, სახელმწიფო ტყის ფონდისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების სპეციალური დაცვის შესახებ კანონმდებლობით, რომელთა მიმართ დაგეგმილი ან შემოთავაზებული ცვლილებები უნდა გადამოწმდეს გამწვანების საბალანსო მაჩვენებლების შენარჩუნების მიზნით; თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატორულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრუტი, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულო საშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში;	
	*** მირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული მენობებისათვის	

გამწვანებული ტერიტორიების ფენა, ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური) — რუკაზე დატანილი შიდაკვარტალური და მცირე ზონის ურბანული გამწვანებული არეალების მიმართ დასაშვები ქმედებები განისაზღვრება ქალაქ თბილისის საზღვრებსა და მის მიმდებარედ არსებული მწვანე ნარგავების, სახელმწიფო ტყის ფონდისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების სპეციალური დაცვის შესახებ კანონმდებლობით, რომელთა მიმართ დაგეგმილი ან შემოთავაზებული ცვლილებები უნდა გადამოწმდეს გამწვანების საბალანსო მაჩვენებლების შენარჩუნების მიზნით; თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატორულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრუტი, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულო საშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში;

### 3.3 დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) — მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები		
3-1	0,5	კოეფიციენტი
3-2	2,5	კოეფიციენტი
3-3	0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

მიწის	ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	600 / 700 *	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე		15 / 20 *	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე		25 / 30 *	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე			-	მეტრი
<b>შენიშვნა</b>			* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის	

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
3-1	-	კოეფიციენტი	
3-2	-	კოეფიციენტი	
3-3	0,1	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის	ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	-
	ფართობი	მინიმალური სიგანე	-
	და ზომები	მინიმალური სიღრმე	-
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
<b>შენიშვნა</b>		* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისა/რეკონსტრუქციისას სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი	

### 3.4 განაშენიანების რეგულირების ხაზები

- ა) წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

ბ) განაშენიანების საგალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ-ს მიზნებს.

## **4 განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი**

**განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის აღმომი მოიცავს:**

1. აღმომის სატიტულო მოთხოვნები: (ყდა, სატიტულო გვერდ(ები), საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი);
2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება);
3. გეგმარებითი დავალება;
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში);
5. გამოყენებული შემოყვალებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფრა);
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფრა; ზონირების ნაწილში მგგ დადგენილი ფერები);
7. გრაფიკული ნაწილის ნუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით);
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ);
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი);
10. დაგეგმვის ეფექტურობის შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში);
11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები);
13. სიტუაციური გეგმა;
14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:5000-დან 1:10000-მდე);
15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა;
16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით);
17. ფოტოფიქსაციის სქემა;
18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება;
19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება;
20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;
21. გეგმარების შეზღუდვის ზონირება;
22. ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება(არსებობის შემთხვევაში);

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო**

23. ფუნქციური ზონირება;
24. გეგმარების შემზღვების კონკრეტული ზონირება;
25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება;
26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა;
27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა;
28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა;
29. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა;
30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა;
31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა;
32. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა;
33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი;
34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
35. საპროექტო ტერიტორიის მოძრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;
36. მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
37. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
38. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრორესონატორის მოწყობის გეგმა;
39. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
40. გარე განათების ქსელის სქემატური წახაზი;
41. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;
42. სანალენე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
43. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
44. ვერტიკალური გეგმარება;
45. ვიზუალიზაცია;
46. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
47. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
48. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

## 5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განამენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შეასაბამისად;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://ms.gov.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომერიატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკონტაქტო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბის მირითადი დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრაფიკული ნაწილის მასშტაბზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში.

წინამდებარე გეგმარებითი დაფალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.771.871  
10 / ივნისი / 2021 წ.

ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალმანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 მარტს N0121071534-67 (N01210983529-67; N012114114-67; N0121149169-67; N012115769-67) განცხადებით მიმართა ზურაბ ღარიბაშვილმა (პ/ნ 01024002661) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალმანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონში. (ნაკვეთის ფართობი: 7 501 კვ.მ) მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია მრავალმანი საცხოვრებელი კორპუსებით. საპროექტო არეალზე მდებარეობს ამორტიზებული სპორტული მოედანი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინტერესების შესაბამისად, გათვალისწინებულია ორი სპორტული მოედნის მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთი მდებარეობს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები, რომლის დემონტაჟიც გათვალისწინებულია პროექტით. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო გავშირი ხორციელდება მ. ქანთარიას ქუჩიდან.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რეკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), გამწვანებული ტერიტორიების რეკით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მრავალმანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, ასევე სპორტული მოედნების მოწყობა, როგორც საპროექტო, ისე მომიჯნავე კორპუსის მაცხოვრებელთათვის. ასევე, ხდება საკადასტრო საზღვრების კორექტირება ფართის უცვლელად, არსებული გზის კონტურის გათვალისწინებით.

შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 7 501 კვ.მ

განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1=0,5 (3 750 კვ.მ)

განაშენიანების ინტენსიონის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2=2,5 (19 050 კვ.მ)

მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3=0,3 (2 250 კვ.მ)

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), გამწვანებული ტერიტორიების რეკით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური).



## საპროექტო ფუნქციური ტონირება - საცხოვრებელი შორი 6 (სტ-6)

### შენობის მაქსიმალური სიმაღლე 50მ

ამასთან, საპროექტო მიწის ნაგვეთშე აღნაგობის ზელშეგრულებით (დამოწმების თარიღი: 26.01.2015) მოთხოვნილია მომიჯნავე ნაკვეთის მობინადრებისათვის აფტოსადგომით უზრუნველყოფა, აღნიშნული ფალდებულება პროექტით გათვალისწინებულია და დაგეგმილია 25 დღა საპარკინგე ადგილის მოწყობა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაგავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმაშორებელები ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმვარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმაშორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებულ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განაშლდვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი ადგმატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმისა);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 8 ივნისის N01211593802 წერილის შესაბამისად, სამსახური თანამშაა N01.14.02.009.032 და N01.14.02.009.033 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ყოვლივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 1 ივნისის N01211523 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ყოვლივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისი, წუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დაგალების დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის

„ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121071534-67 (N01210983529-67; N012114114-67; N0121149169-67; N012115769-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, წუცუბიძის IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალიბინიანი საცნოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განვარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განვარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გახა გალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01211593802  
თარიღი: 08/06/2021  
პინი: 3024

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურშა, კომპეტენციის ფარგლებში, განიჩინა მიმდინარე წლის 6 ივნისის №012115769-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.02.009.032, 01.14.02.009.033; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად 01.14.02.009.032 და 01.14.02.009.033 საგადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება შემდეგი პირობებით:

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას შესწორებული საპროექტო ფუნქციური ზონირების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილებზე, რომლებზეც იგეგმება სტადიონის მოწყობა გავრცელდეს რზ-2. ამასთანავე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენ გამწვანების (დენდოლოგიურ) დეტალურ პროექტში საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებული კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი დაანგარიშებული უნდა იქნას შესწორებული საპროექტო ფუნქციური ზონირების შესაბამისად.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე. შესაბამისად, აღნიშვნულ ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის განხორცილებისათვის ზელისშემშლელი, მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, თითოეული საგადასტრო ერთეულისათვის ცალ-ცალკე. საექსპერტო დასკვნაში აღწერილი და მწვანე ნაგავისათვის მინიჭებული ნუმერაციის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას, საპროექტო გენ-გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება როგორც საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები შესაბამისი ნუმერაციის მიხედვით, ისე საპროექტოდ გათვალისწინებული ყველა ობიექტზე (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი, სტადიონი და სხვა). აღნიშნულ გეგმაზე, ასევე, დატანილი უნდა იქნას საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილები. წარმოსადგენი საპროექტო გენ-გეგმა უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ.

აქვე გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების 27<sup>4</sup>-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განმცხადებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა, სადაც თვალსაზინოდ იქნება ნაჩვენები საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი თითოეული მწვანე ნარგავის ხარისხობრივი მდგომარეობა და საექსპერტო დასკვნის შესაბამისად მინიჭებული ნუმერაცია.

დამატებით, გამწვანების (დენდოლოგიურ) დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ასევე უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, გაცნობებით, რომ შერეული, მაღალპროდუქტული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდოლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის

მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპოლიტიური კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი გარჯის მქონე ხეების დარგას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 მ<sup>2</sup> ერთი მირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეგერჩხალი (ლეგა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), 20-25 მ<sup>2</sup> დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, 6 მ<sup>2</sup> ერთი მირი ბუჩქებისთვის (მაგ: იაბონური კვიდო, ტუია და სხვა).

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიდან, გარდა შავი და ელფარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროსის სახეობების და ზოლ-განგრევანი ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მაგნებლებით გამოწვეული დაგვადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ზმობას, დაგვადების გავრცელების ან/და აპალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერზების ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მაღალ მწარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც გითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და განალიზაციის მიღების დაზიანების გამომწვევი მიზანი წმინად ხდება. ასევე, მათი დაბადი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერზების მტკრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერზების ბუსუსოვანი თესლი პაკრში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის აღერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, გინაიდან ვერზე თავისი პაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარიდ და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცვალი შექმნად, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ზის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგნენილების მე-9 მუხლის მე-17 შენტრის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგვევარებელი ტერიტორია ზედება შესაბამისი მიწათსანებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგევმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესაბებ ინფორმაცია.

გამოყენებულია პვალიუიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო**



წერილის ნომერი: 01211603431  
თარიღი: 09/06/2021  
პინი: 8192

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2021 წლის 6 ივნისის N 012115769-67 განცხადების ბასუბად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ნუცუბიძის 4 მე/რ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: 01.14.02.009.032; 01.14.02.009.033.) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგრმარეობის გათვალისწინების საფუძველზე გაანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 21 მაისის N 0121149169-67 განცხადების ბასუბად N 01211523 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამშაროველოსთან შეთანხმებული, განახლებული (დაგეგმილი პროექტის შესაბამისი), მოძრაობის ორგანიზების სქემა რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება 2.5 მეტრი სიგანის ტროტუარი. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამარქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებული ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგინდეს არანაკლებ 6 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

შესაბამისად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია ეგალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ქ. თბილისი

23.01.2015 წელი

## ხელშეკრულება აღნაგობის შესახებ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სამშენებლო კომპანია შპს „ჰაუს გრუპი“ (ს/კ 405060927) წარმოდგენილი თავისი დირექტორის ზურაბ ღარიბაშვილის (პ/ნ 01024002661) სახით (შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „მოაღნავე“) და მეორეს მხრივ მიწის მესაკუთრე შპს „იმედი-95“ (ს/კ 204856012) წარმოდგენილი თავისი დირექტორის ლევან ყურაშვილის (პ/ნ 01010019492) სახით (შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „მიწის მესაკუთრე“), ხოლო ერთობლივად მოაღნავე და მიწის მესაკუთრე - შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებულნი, როგორც „მხარეები“, ვითვალისწინებთ, რა რომ მიწის მესაკუთრე წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს მდებარე ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრო რაიონი, შემდეგი საკადასტრო მონაცემით: 01.14.02.009.015 შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „აღნაგობის საგანი“, რომელიც მდებარეობს მოაღნავის „სამშენებლო მიწის ნაკვეთის“ (შემდგომში სამშენებლო მიწის ნაკვეთი) შემდეგი საკადასტრო მონაცემით: 01.14.02.009.016 მომიჯნავედ, წინამდებარე ხელშეკრულების ძალით ვთანხმდებით შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მოაღნავის მიერ საკუთარი ხარჯებითა და საშუალებებით პირველი კლასის ნაკეთობის (ღია ავტოსადგომი) მშენებლობა, „სამშენებლო მიწის ნაკვეთზე“ (საკადასტრო კოდი 01.14.02.009.016) მშენებარე მრავალბინიანი სახლის მობინადრეებისათვის ავტოსადგომების უზრუნველყოფის მიზნით.

1.2. აღნიშნული მშენებლობა თავის მხრივ მოიცავს მოაღნავის მიერ აღნაგობის საგანზე ობიექტის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტაციის (თანხმობა და სხვა) მოპოვებასა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებას.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები გამოხატავენ ნებას და იღებენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით მშენებლობა აწარმოონ მიწის მესაკუთრის საკუთრებაში არსებულ

მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრო რაიონი, შემდეგი მახასიათებლებით: მიწის (უმრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.14.02.009.015; ზონა თბილისი 01; სექტორი 14; კვარტალი 02; ნაკვეთი 009/015; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 7051 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.02.009.012.

#### 1.4. საკუთრების ფაქტი დასტურდება:

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:  
განაცხადის რეგისტრაციის № 882014565510  
მიწის საკადასტრო კოდი №01.14.02.009.015

1.5. მიწის მესაკუთრე ადასტურებს, რომ აღნაგობის საგანი არის და მასზე ვრცელდება მისი საკუთრების უფლება, იგი არ არის იპოთეკის უფლებით დატვირთული, იგი არ არის დაყადალებული. ის არ წარმოადგენს დავის საგანს და მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე სახის პრეტენზია.

#### მუხლი 2. შეთანხმების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ აღნაგობის საგანი, მდებარე ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრო რაიონი, საკ.კოდი 01.14.02.009.015, რჩება მიწის მესაკუთრის საკუთრებაში, ხოლო მოაღწავე წინამდებარე ხელშეკრულების ძალით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 237-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აღნაგობის საგანზე აღმართული ნაგებობა (ლია ავტოსადგომი) წარმოადგენს მოაღწავის საკუთრებას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

2.3. მოაღწავე მშენებლობას აწარმოებს საკუთარი ხარჯებითა და საშუალებებით.

#### მუხლი 3. აღნაგობის ვადა და საზღაური

ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ აღნაგობა არის უსასყიდლო და მისი მოქმედების ვადაა 15 (თხუთმეტი) წელი.

#### მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან და სრულ შესრულებაზე.

4.2. მიწის მესაკუთრე ვალდებულია გადასცეს მოაღნაგეს მშენებლობის (ღია ვტოსადგომის მოსაწყობად) განსახორციელებლად უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთი, მისცეს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტით და საჭიროების შემთხვევაში ხელი მოაწეროს საამისოდ სავალდებულო ყველა საბუთს და გასცეს თანხმობები. თავისი ქმედებით ან/და უმოქმედობით არ შეაფერხოს სამშენებლო და უძრავი ქონების შემდგომი რეგისტრაციის პროცესი.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ აღნაგობის საგნის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით წარმოიშობა რაიმე სახის სამართლებრივი პრობლემა, რითაც საფრთხე შეექმნება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებს მოაღნავი უფლებამოსილია მოსთხოვოს მესაკუთრეს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

#### მუხლი 5. მხარეთა განცხადებები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება დადონ ეს ხელშეკრულება და შეასრულონ ყველა მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების არც გაფორმებით და არც შესრულებით მხარეები არ არღვევენ თავისი სადამფუძნებლო დოკუმენტების რაიმე პირობას საქართველოს კანონმდებლობის რაიმე დებულებას ან ნორმას.

5.3. მხარეები არ არღვევენ არც ერთ ხელშეკრულებას, რომელიც ისინი მხარეს წარმოადგენენ და რომელსაც შეუძლია პირდაპირი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

#### მუხლი 6. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება ურთიერთშეთანხმებით, ამ ხელშეკრულების

გაფორმებისათვის დადგენილი წესით, რომელიც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

6.2. ხელშეკრულებაში ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილ და აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც ხელშეკრულებას.

#### მუხლი 7. სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადაო საკითხს მხარეები წყვეტის ურთიერთშეთანხმების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადაო საკითხს წყვეტს სასამართლო ხელშეკრულების საგნის ადგილმდებარეობის მიხედვით.

#### მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და ძალაშია 2029 წლის ოქტომბრამდე

8.2. მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის მოქმედების ვადა შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლირად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი რჩება საჯარო რეესტრში, ხოლო დანარჩენი ორი გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

„მოაღწავ“

შპს „ჰაუს გრუპი“

(ს/კ 405060927)

დირექტორი: ზურაბ ლარიბაშვილის

ზურაბ ლარიბაშვილის აუგის  
2024 წლის 2 მაისი

მიწის მესაკუთრე

შპს „იმედი-95“

(ს/კ 204856012)

დირექტორი: ლევან ყურაშვილის

ლევან ყურაშვილის აუგის  
2024 წლის 2 მაისი



ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაშქვეს იანვარს, მე ნიკოლოზ მალაშვიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, პეტიონის გამზ. № 15, პირველ სართულზე, მომმართეს ზურაბ ლარიბაშვილმა და ლევან ყურაშვილმა. მათ წარმოადგინეს 2015 წლის 23 იანვრის ხელშეკრულება აღნაგობის შესახებ და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებული დოკუმენტებით: ზურაბ ლარიბაშვილი – დაბადებული 05. 12. 1974წ., პირადი № 01024002661, მცხოვრები ქ. თბილისი, ვ. ჭაბუკიანის ქ. № 3; ლევან ყურაშვილი – დაბადებული 20. 01. 1954წ. პირადი № 01010019492, მცხოვრები ქ. თბილისი, შ. ნუცებიძის ვერდ. IV მ/რ კორპ. 17, ბ. 123. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე, მის შინაარსზე და ხელმომწერების ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი დოკუმენტზე, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო საზღაური, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოფენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, მუხლი 31 თანახმად გადახდილია ოთხი ლარი და მუხლი 39 თანახმად რეგისტრაციის საფასური ორი ლარი.

ნოტარიუსი





სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150068356



26.01.2015 6

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნიკოლოზ მალაშვილი

ქ. თბილისი, პეტიონის გამზ. # 15

2377321; მობ: 599561242

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

სანოტარო მოქმედების დასახელება

ნოტარიუსი

სანოტარო ბიუროს მისამართი

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 87246414497515



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება—გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკომ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19  
18